

NanoShot® AF 450

ტუტისგან თავისუფალი, შეკვრის დამაჩქარებელი ქიმიური დანამატი სველი ტორკრეტბეტონისთვის

პროდუქტის აღწერა

NanoShot AF 450 წარმოადგენს ტუტისგან თავისუფალ, შეკვრის დამაჩქარებელ ქიმიურ დანამატს, რომელიც სპეციალურად შექმნილია სველი ტორკრეტბეტონის მოხმარებისთვის.

გამოყენება

NanoShot AF 450-ის გამოყენება რეკომენდებულია შემდეგი შემთხვევებისა და მიზნებისთვის:

- სველი და მშრალი ტორკრეტბეტონის მოხმარება.
- გვირაბების მშენებლობაში ბეტონის გადაჭიმვის, მოპირკეთების და სიმაღლეზე შესასრულებელი სამუშაოები.
- დაბეტონების სამუშაოები კლდეების, ნიადაგის და ფერდების გასამაგრებლად.
- მაღალი ხარისხის ტორკრეტბეტონის გამოყენება სამაგრი სამუშაოებისთვის.
- ტორკრეტბეტონის გამოყენება მაღაროებში.

უპირატესობები და მახასიათებლები

- მნიშვნელოვნად ამცირებს ბეტონის შეკვრის დროს და ზრდის სიმტკიცის მიღწევის სიჩქარეს განსაკუთრებული სტრუქტურის წყალობით. ის შესაფერისი ქიმიური დანამატია ტორკრეტბეტონის გამოსაყენებლად.
- არ შეიცავს ტუტეებს.
- გამოიყენება მინაბოჭკოთი არმირებული ტორკრეტბეტონისთვის, რომელზეც შეიძლება, უარყოფითად იმოქმედოს ტუტის მაღალი შემცველობის გარემომ.
- NanoShot AF 450 ზრდის პროდუქტიულობას და ამცირებს მშენებლობის დროს ტორკრეტბეტონით შესრულებული სამუშაოების წარმოებისას, ნარევის ბმის უნარის გაუმჯობესებით, ტორკრეტბეტონის შეკვრის დროის შემცირებით და ნაადრევი სიმტკიცის ხარისხის გაუმჯობესებით.
- ამცირებს მასალის დანაკლისს აღმდგენი უნარის წყალობით.
- ამცირებს საბოლოო სიმტკიცის დანაკლისს.
- თავსებადია სხვა ქიმიურ დანამატებთან (მაგ. ჰაერშელწევად დანამატებთან) .
- აუმჯობესებს კავშირს ქანის ზედაპირსა და ტორკრეტბეტონის როგორც ძველ, ისე ახალ ფენებს შორის.
- არ შეიცავს ქლორიდებს ან სხვა ნაერთებს, რომლებმაც შეიძლება, გამოიწვიოს კოროზია.

მოხმარების წესები, რჩევები და გაფრთხილებები

- NanoShot AF 450 ემატება წყალს გამოსაშვებ მილყელთან ან უნდა დაემატოს მილყელთან დოზატორის საშუალებით.

- NanoShot AF 450 მნიშვნელოვნად ამცირებს ბეტონის შეკვრის დროს. აქედან გამომდინარე, დაბეტონების სამუშაოები უნდა დაიგეგმოს და შესრულდეს სათანადოდ.
- NanoShot AF 450 თავსებადია სხვა ქიმიურ დანამატებთან, როგორცაა ლიგნოსულფონატის, ნაფტალინის ან მელამინის და პოლიკარბოქსილატის ბაზაზე დამზადებული სუპერმაკლასტიფიცირებლები.
- წყლისა და შემკვრელის თანაფარდობა (ცემენტი+მინერალური დანამატები) უნდა იყოს 0.50-ზე ნაკლები (სასურველია 0.45). უფრო მაღალი ხარისხის ნაადრევი სიმტკიცისთვის, დაწიეთ წყლისა და შემკვრელის თანაფარდობა 0.40-ზე დაბლა.
- სიმტკიცის ზრდა შეიძლება, შენელებს სულფატების მიმართ მდგრად ცემენტთან ერთად გამოყენებისას.
- გარემო ტემპერატურა და ახლად მომზადებული ბეტონის ნარევის ტემპერატურა ტორკრეტბეტონის დასხმის პროცესში უნდა აღემატებოდეს +1 °C და +15 °C-ს, შესაბამისად.



NanoShot AF 450 არ ერევა ტუტის შემცველ, ბეტონის შეკვრის დამაჩქარებელ ქიმიურ დანამატებს.

რეკომენდებული დოზები

NanoShot AF 450-ის საჭირო დოზა მერყეობს ფართო დიაპაზონში, გამოყენებული ცემენტის, გარემო ტემპერატურის და ახლად მომზადებული ბეტონის ნარევის ტემპერატურის, ტორკრეტბეტონის ნარევის მახასიათებლების და ტორკრეტბეტონის ფენის სისქის მიხედვით. მთლიანი შემკვრელი მასალის (ცემენტი+მინერალური დანამატი) მასის 3% - 10% ჩვეულებრივ, საკმარისია 200მმ სისქის ტორკრეტბეტონის დასხმისთვის, ბეტონის დასხმის ერთი სამუშაოს შესრულებისას. NanoShot AF 450-ის ოპტიმალური დოზა განისაზღვრება საცდელი ანაზღვრების საფუძველზე. ისეთი მინერალური დანამატების არსებობა, როგორცაა მიკროკაჟმიწა, წანატაცი ნაცარი და ბრძმედის გრანულირებული წიდა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს NanoShot AF 450-ის დოზებზე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს დოზების განსაზღვრაზე, არის გარემოს და ახლად მომზადებული ბეტონის ნარევის ტემპერატურები. დაბალმა ტემპერატურამ შეიძლება, გამოიწვიოს საჭირო დოზების გაზრდა. გთხოვთ, დაუკავშირდით Lyksor-ის კვლევისა და განვითარების დეპარტამენტს ტექნიკური დახმარებისთვის.

ტექნიკური მახასიათებლები

ფერი და ფორმა	ნაცრისფერი - სითხე
ქიმიური ბაზა	არაორგანული ნაერთები
სიმკვრივე (კგ/ლ)	1.41 - 1.47 (+20 °C-ზე)
ქლორ-იონის შემცველობა	მაქს 0.1% - ქლორიდის გარეშე EN 934-2-ის მიხედვით
pH	~3